ხელშეკრულება #TR-47-2018
შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 04 დეკემბერი 2018 წ.

ერთი მხრივ **სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო,** (შემდგომში „შემსყიდველად" წოდებული) წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესყიდვების სამსახურის უფროსის **ვახტანგ შავგულიძის** სახით და მეორე მხრივ **შპს „მარკეტ ლიდერი"** (შემდგომში „მიმწოდებლად" წოდებული) წარმოდგენილი დირექტორის **გიორგი ბარდაველიძის** სახით, (ორივე ერთად „მხარეებად" წოდებული) ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის 1-ლი მუხლის მე-4 პუნქტისა და 2018 წლის 4 დეკემბრის N645949 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება" – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3 „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4 „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5 „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6 „მომსახურება" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული მომსახურება.
1.7 „ინსპექტირება" – ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის დანართიN1-ით გათვალისწინებული ბრენდირებული ნივთების დამზადება და მიწოდება „ირიგაციისა და მიწის ბაზრის განვითარების პროექტის" ფარგლებში;

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ჯამური ღირებულება შეადგენს 15480 (თხუთმეტი ათას ოთხას ოთხმოცი) ლარს;

3.2 მომსახურების ღირებულება მოიცავს წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა გადასახადს.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) არა უგვიანეს 2018 წლის 25 დეკემბრისა უზრუნველყოს შემსყიდველისათვის დანართი N1-ით გათვალისწინებული ბრენდირებული ნივთების დამზადება და მიწოდება შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი ნინო ჩხეიძის ქ.N2;

ბ) უზრუნველყოს შემსყიდველისათვის ნივთობრივად უნაკლო ნივთის (დანართი N1-ით გათვალისწინებული ნივეთების) გადაცემა, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საერთაშორისო სტანდარტით გათვალისწინებულ ნორმებს;

გ) კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებები;

დ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები ხელშეკრულების 5.3 პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინების მიღებისთანავე და უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება არა უგვიანეს წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 1 (ერთი) სამუშაო დღის ვადაში.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ინსპექტირების განხორციელება;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ინსპექტირება

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს/პირებს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას/მათ ინსპექტირების განხორციელების დროს;

5.2 ინსპექტირებას განახორციელებს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მსოფლიო ბანკის „ირიგაციის და მიწის ბაზრის განვითარების პროექტის "მიწის ბაზრის განვითარების კომპონენტის რეგიონული ფასილიტატორი ეკატერინე მემანიშვილი;

5.3 შემსყიდველის მიერ ინსპექტირება განხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე. ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ნაკლის შესახებ ინსპექტირების განმახორციელებელი პირი წერილობითი სახით შეატყობინებს მიმწოდებელს.

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1 მომსახურების მიღება წარმოებს ინსპექტირების განმახორციელებელი პირის დადებითი დასკვნის გაცემის შემდეგ, მხარეთა შორის წერილობითი ფორმით გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:
ა) ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი;
ბ) ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად;
გ) დაფინანსების წყარო: საერთაშორისო განვითარების ასოციაციის (IDA) კრედიტი N:5456-GE;
დ) ანგარიშსწორება განხორციელდება გაწეული მომსახურების შესაბამისად მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე;
7.2 მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება აუნაზღაურდება მომსახურების სრულად გაწევისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ (თუ მიმწოდებელი დღგ-ს გადამხდელია), მხარეთა მიერ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით;
8.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1. პუნქტით განსაზღვრული მომსახურების მიწოდების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.3%-ის ოდენობით, ხელშეკრულების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში ხელშეკრულების ღირებულების 5%–ის ოდენობით;
9.2 წინამდებარე ხელშეკრულების 7.2 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.02%-ის ოდენობით, რის შესახებაც წინასწარ წერილობითი სახით უნდა აცნობოს ამ უკანასკნელს;
9.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს

უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;
9.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით;
10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11. დავების გადაწყვეტა

11.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით;
11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში;
12.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;
12.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 იანვრამდე.

14. ფორს-მაჟორი

14.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ

ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით;

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა;

14.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

15. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი – შემსყიდველს.

16. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	მიმწოდებელი
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. №2 **ხაზინის ერთიანი ანგარიში:** №GE24NB0330100200165022, სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: TRESGE22 სავალუტო კოდი: 202255407 სკ - 202238621	**შპს „მარკეტ ლიდერი"** მისამართი: ქ. ქუთაისი, ცოტნე დადიანის ქ.N19 **საბანკო რეკვიზიტები:** ა/ა GE47TB7352736060100001 **მომსახურე ბანკი:** სს „თიბისი ბანკი" ბანკის კოდი „ TBCBGE22 ს/კ 412685633
შესყიდვების სამსახურის უფროსი ვახტანგ შავგულიძე	დირექტორი გიორგი ბარდაველიძე

დანართი N1

N	დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	ჯამური ღირებულება
1	ბრენდირებული თერმო ჭიქა	100	17	1700
2	ბრენდირებული ჰუდი	150	47	7050
3	ბრენდირებული ყურსასმენი	50	77	3850
4	მუყაოს ჭიქა	500	0.8	400
5	ქაღალდის ჩანთა	200	3.4	680
6	სავიზიტე ბარათის ჩასადები	100	18	1800
				15480 (თხუთმეტი ათას ოთხას ოთხმოცი) ლარი.

შემსყიდველი

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
ს3 - 202238621

შესყიდვების სამსახურის უფროსი
ვახტანგ შავგულიძე

მიმწოდებელი

შპს „მარკეტ ლიდერი"
ს/3 412685633

დირექტორი
გიორგი ბარდაველიძე

	ნივთი	რაოდენობა	აღწერილობა	ნიმუში
1	თერმო ჭიქა, პატარა	100	მოცულობა: არანაკლებ 250მლ და არაუმეტეს 300მლ. მასალა: მეტალის, კორპუსი ვერცხლისფერი, შავი თავსახურით, დიამეტრი არანაკლებ 7.3 სანტიმეტრი. უნდა დაედოს მსოფლიო ბანკის და საჯარო რეესტრის ლოგოები ლაზერული გრავირებით	
2	ბლუთუზიანი ნაუშნიკი	50	დასაკეცი უსადენო ბლუთუს ყურსასმენი, თეთრი ფერის, ბალიში უნდა იყოს შავი ფერის რბილი ტყავი ან ტყავის შემცვლელი, ორივე მხარეს უნდა დაედოს მსოფლიო ბანკის და საჯარო რეესტრის ლოგოები "უვ" ბეჭდვით, უნდა ჰქონდეს ავტომოპასუხის და რადიოს ფუნქციები, ასევე micro SD მხარდაჭერა, უნდა მოყვებოდეს დამტენი.	
3	"ჰუდი"	150	მასალა:100 %პოლიესტერი, არანაკლებ 265 გრამი კვ/მ სისქის , კაპიშონით და 2 ჯიბით. უნდა დაედოს მსოფლიო ბანკისა (ინგლისურენოვანი) და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს (ქართულ და ინგლისურენოვანი) ლოგოები	
4	მუყაოს ჭიქა	500	მუყაოს ჭიქა,180 მგ მოცულობის, უნდა დაედოს მსოფლიო ბანკისა (ინგლისურენოვანი) და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს (ქართულ და ინგლისურენოვანი) ლოგოები	
5	ქაღალდის ჩანთა	200	ქაღალდის ჩანთა ლურჯი ფერის ზონარის სახელურით, ზომა - 23/38/9სმ; 280 გრ ბრისტოლი+ლამინაცია უნდა დაედოს მსოფლიო ბანკისა (ინგლისურენოვანი) და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს (ქართულ და ინგლისურენოვანი) ლოგოები	
6	სავიზიტო ბარათების ჩასადები	100	მასალა ტყავი, ზომები 8,5 X11X1,3, მაგნიტური ჩამკეტით, 20 განყოფილებანი. სავიზიტო ბარათების ჩასადებად; უნდა დაედოს მსოფლიო ბანკისა (ინგლისურენოვანი) და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს (ქართულ და ინგლისურენოვანი) ლოგოები	